ხელშეკრულება № 264
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით

ქ. ხონი 24 დეკემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ, ხონის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მერის ლადო ჯურხაძის სახით და მეორეს **შპს „ორიელი"-ს დირექტორი ლიკა ჭელიძე** (შემდგომში „მიმწოდებელი"), ორივე ერთად წოდებულნი როგორც მხარეები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" პუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის ახალი წლის ღამეს, ცენტრალურ მოედანზე საახალწლო ღონისძიების აპარატურით უზრუნველყოფა (CPV79900000 - სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები; CPV79953000 - ფესტივალების ორგანიზება) ხელშეკრულების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4300.00 (ოთხიათას სამასი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან განხორციელდება წინასწარი ანგარიშსწორება, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ინვოისის საფუძვლზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ინვოისზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
3.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ხონის მუნიციპალიტეტის მერი და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი.

4. მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

4.1 მომსახურეობა განხორციელდება: ქ. ხონი, ტავისუფლების მკოედანი N6
4.2 მომსახურეობა განხორციელდება 2018 წლის 31 დეკემბერს.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარე დაჯარიმდება და დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
6.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.
6.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს დამკვეთს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 ხელშეკრულებაში .ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შორის შეთანხმებით.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის.

7.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5 მხარე ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

7.6 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარ ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც ორი ინახება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრამდე.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
ხონის მუნიციპალიტეტი	შპს „ორიელი“
ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი №6	ქ. რუსთავი, მე-8 მკრ. კორპ-6, ბინა -68
საიდენტიფიკაციო კოდი: 24496122	ს/კ 404956632
სახელმწიფო ხაზინა	„ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი - TRESGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
მიმღების ანგარიში – 200122900	ა/ა №GE25LB0113119384656000
ხონის მუნიციპალიტეტის მერი ლადო ჯურხაძე	შპს „ორიელი“-ს დირექტორი ლიკა ჭელიძე

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ხონი 24 დეკემბერი 2018 წელი

ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელება არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხონის მუნიციპალიტეტის მერი: ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
კულტურის, განათლების, სპორტის,
ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა
სამსახურის ხელმძღვანელი: მანანა გოფოძე